ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13250172**

თარიღი:**17/01/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტს დაუშვას გამონაკლისი და გაზარდოს „საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა არაუმეტეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 20%-ისა.

2. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციით, დაუშვას გამონაკლისი და გაზარდოს „საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა არაუმეტეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 30%-ისა.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა), მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი